



## შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მდ. საშუალაზე 2.25 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის (საშუალა ჰესი), 35 კვ. მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

### სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი

შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი

ზ. მაგალობლიშვილი

2026 წელი

---

“Gamma Consulting” Ltd 19d. Guramishvili av. 0192 Tbilisi, Georgia  
tel: +(995 32) 261 44 34; 260 15 27 E-mail: zmgreen@gamma.ge; j.akhvlediani@gamma.ge  
www.facebook.com/gammaconsultingGeorgia

შპს „გამა კონსალტინგი“

## სარჩევი

1. შესავალი .....	3
2. საშუალა ჰესის პროექტის ზოგადი მიმოხილვა .....	4
2.1.1. ჰესის სათავე ნაგებობა.....	8
2.1.2. სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზა .....	10
2.1.3. ძალური კვანძი .....	13
3. პროექტში შეტანილი ცვლილებების აღწერა .....	13
4. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება.....	16
5. ინფორმაცია განხორციელებული ცვლილების ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა და ზემოქმედების რისკები .....	16
5.1. გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება .....	18
5.2. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	19
5.2.1. ზემოქმედება ფლორაზე .....	19
5.2.2. ზემოქმედება ფაუნაზე .....	20
5.2.3. ზემოქმედება წყლის ბიოლოგიურ გარემოზე.....	20
5.3. ზემოქმედება წყლის გარემოზე.....	21
5.4. ნარჩენების მართვა .....	21
5.5. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები .....	22
5.6. კუმულაციური ზემოქმედება.....	22
6. საპროექტო ცვლილებების გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება .....	23
7. მოკლე რეზიუმე .....	28
8. დანართი .....	29
8.1. დანართი 1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ.....	29
8.2. დანართი N2: განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაცია..	32

**1. შესავალი**

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. საშუალაზე 2.25 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე საშუალა ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განაცხადის ძირითად დანართს.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ საშუალა ჰესის ექსპლუატაციას ახორციელებს, „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მდ. საშუალაზე 2.25 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის (საშუალა ჰესი), 35 კვ. მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 13 ოქტომბრის N2-1453 ბრძანების საფუძველზე. საშუალა ჰესი წარმოადგენს საშუალას ჰესების კასკადის პირველ საფეხურს.

ჰესის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება სადაწნეო მილსადენის და შესაბამისად საექსპლუატაციო საავტომობილო გზის ბოლო მონაკვეთის დერეფნის ცვლილების თაობაზე, კერძოდ: საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკების პრევენციის მიზნით, შეცვლილი იქნა საპროექტო დერეფნის 250 მ სიგრძის მონაკვეთის მარშრუტი და რის შედეგადაც საჭირო გახდა 1130 მ<sup>2</sup> ფართობის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიის ათვისება, რაც გათვალისწინებული არ ყოფილა თავდაპირველი პროექტით. გარდა აღნიშნულისა ჰესის საექსპლუატაციო გზის და მასზე არსებული სადაწნეო მილსადენის დერეფანი, ფაქტობრივი მდგომარეობით, რამდენიმე მონაკვეთზე გასულია თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული საპროექტო არეალიდან და მცირე ფართობებზე გადაკვეთს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას, რომელთა საერთო ფართობია 763 მ<sup>2</sup>.

სულ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტერიტორიებიდან, თავდაპირველ პროექტთან შედარებით, დამატებით ათვისებულია 1 893 მ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორია.

აღსანიშნავია, რომ პროექტში შეტანილი ცვლილებები, ჰესის სხვა ნაგებობების ადგილმდებარეობის და ტექნიკური პარამეტრების ცვლილებას არ ითვალისწინებს.

პროექტში შეტანილი ზემოთ აღნიშნული ცვლილების მიხედვით, შეცვლილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დამტკიცებული სადაწნეო მილსადენის საპროექტო დერეფანი და ათვისებულია 1 893 მ<sup>2</sup> ფართობის დამატებითი ტერიტორია, რის გამოც გარკვეულადაა შეცვლილი შესაბამისად ჰესის ექსპლუატაციის პირობები. აღნიშნული ცვლილება, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-12 ნაწილის მიხედვით ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. გამომდინარე აღნიშნულიდან, მომზადებულია წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

წინამდებარე სკრინინგი ანგარიში, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს დაკვეთით მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგი“-ს მიერ.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს და შპს „გამა კონსალტინგი“-ს საკონტაქტო ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში 1.1.

**ცხრილი 1.1.**

საქმიანობის განხორციელებელი კომპანია	შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ. N 47/57.
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეწიეთი

საქმიანობის სახე	ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია
<b>შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს საკონტაქტო მონაცემები:</b>	
საიდენტიფიკაციო კოდი	404485188
ელექტრონული ფოსტა	infoedgorgia@gmail.com
საკონტაქტო პირი	პაატა ფხალაძე
საკონტაქტო ტელეფონი	(+995) 591 750757
<b>საკონსულტაციო კომპანია: შპს „გამა კონსალტინგი“</b>	
შპს „გამა კონსალტინგი“-ს დირექტორი	ზ. მაგლობლიშვილი
საკონტაქტო პირი	ჯუღული ახვლედიანი
საკონტაქტო ტელეფონი	(+995) 595 595255

## 2. საშუალა ჰესის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

„საშუალა ჰესი“ მდებარეობს გურიის რეგიონში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქ. ჩოხატაურიდან სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით, დაახლოებით 18 კმ მანძილზე, მდ. საშუალას ხეობის ზედა წელში.

ჰესის პროექტი მოიცავს შემდეგ ძირითად ინფრასტრუქტურულ ობიექტებს:

- სათავე ნაგებობას (დაბალზღურბლიანი „ტიროლის“ ტიპის წყალმიმღები, სალექარი, უქმი წყალსაგდები და თევზსავალი);
- სადაწნეო მილსადენს;
- ძალურ კვანძს (ჰესის შენობა).

ჰესის სათავე კვანძი განთავსებულია 1225 მ ნიშნულზე. წყალმიმღები და სალექარი მოწყობილია მდინარის მარცხენა ნაპირზე. ჰესის შენობისთვის წყლის მიწოდება გათვალისწინებული იყო 1889 მ სიგრძის სადაწნეო მილსადენით. მიწისზედა ჰესის შენობა განთავსებულია 1066.75 მ ნიშნულზე, სადაც დამონტაჟებულია 1 ერთეული პელტონის ტიპის ტურბინა, საანგარიშო ხარჯით 1.8 მ<sup>3</sup>/წმ.

ჰესის მიერ გამოიმუშავებული წყლის მდინარე საშუალაში ჩაშვება ხორციელდება გამყვანი არხის საშუალებით საშუალა 1 ჰესის სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში. ჰესის საანგარიშო ხარჯი შეადგენს 1.8 მ<sup>3</sup>/წმ-ს, დადგმული სიმძლავრე 2.25 მგვტ-ს. ჰესის საშუალო წლიური გამოიმუშავება შეადგენს 10.65 მგვტ/სთ-ს. ჰესი 3.5 კმ სიგრძის, 35 კვ ძაბვის საკაბელო/საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით უკავშირდება „ჰესი 1“-ის ქვესადგურს, საიდანაც ხორციელდება ელექტროენერჯის მიერთება ერთიან ელექტროსისტემასთან.

ჰესის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები წარმოდგენილია ცხრილში 2.1, ხოლო პროექტის სიტუაციური სქემა ნახაზზე 2.1.

**ცხრილი 2.1.** საშუალა ჰესის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები

დასახელება	განზომილების ერთეული	საპროექტო პარამეტრები	პარამეტრები ცვლილების მიხედვით
<b>ჰესის ძირითადი პარამეტრები:</b>			
ზედა ბიეფის ნიშნული	მზდ	1225	1225
ქვედა ბიეფის ნიშნული	მზდ	1064.4	1064.4
სტატიკური დაწნევა	მ	158.75	158.75
საანგარიშო ხარჯი	მ <sup>3</sup> /წმ	1.8	1.8
ჰესის სიმძლავრე	მგვტ	2.25	2.25
<b>სათავე კვანძი:</b>			
კაშხლის ტიპი		ბეტონი	ბეტონი
წყალმიმღების ტიპი		ტიროლი	ტიროლი

თხემის ნიშნული	მზდ	1224.8	1224.8
სიმაღლე (საძირკვლიდან)	მ	7	7
სიმაღლე (მიწის დონიდან)	მ	2.8	2.8
წყალმიმღების სიგანე	მ	6.8	6.8
მიმყვანი არხის სიგანე	მ	1.6	1.6
სარკის ზედაპირის ფართი	მ <sup>2</sup>	600	600
<b>უქმი წყალსაშვი:</b>			
თხემის ნიშნული	მზდ	1225.3	1225.3
სიმაღლე (საძირკვლიდან)	მ	6.6	6.6
სიმაღლე (საძირკვლიდან)	მ	2.4	2.4
<b>სალექარი:</b>			
კამერა	ც	2	2
კამერის სიგანე	მ	2.85	2.85
კამერის სიმაღლე	მ	4	4
კამერის სიგრძე	მ	16.6	16.6
დონე სალექარში (მილსადენისთვის)	მზდ	1223.15	1223.15
<b>თევზსავალი:</b>			
ტიპი		საფეხურებიან	საფეხურებიანი
ნიშნული	მზდ	1224.5	1224.5
ზომები	მ	1x0.9	1x0.9
<b>სანიტარიული წყალსაშვი:</b>			
ტიპი			
ხარჯი	მ <sup>3</sup> /წმ	0.12	0.12
ნიშნული	მზდ	1223.73	1223.73
დიამეტრი	მ	0.35	0.35
მილსადენი			
სიგრძე	მ	1917	1917
სიგანე	მ	0.914	0.914
<b>მილსადენი:</b>			
სიგრძე	მ	1889	1 855
დიამეტრი	მ	0.914	0.914
<b>მისასვლელი გზა:</b>			
სიგრძე	მ	2323	2073
სიგანე	მ	5.5	5.5
<b>ჰესის შენობა:</b>			
ტიპი	-	მიწისზედა	მიწისზედა
ტურბინის ტიპი	-	პელტონი	პელტონი
ტურბინის რაოდენობა	ც	1	1
ტურბინის საანგარიშო ხარჯი	მ <sup>3</sup> /წმ	1.8	1.8
ტურბინის ღერძის ნიშნული	მზდ	1067.18	1067.18
ტურბინის სიმძლავრე	მვტ	2.25	2.25
საქმენების რაოდენობა	ც	6	6
<b>ჰესის შენობის გაბარიტები:</b>			
შენობის იატაკის ნიშნული	მზდ	1066.75	1066.75
შენობის სიგრძე	მ	18.6	18.6
შენობის სიგანე	მ	12.7	12.7
შენობის სიმაღლე	მ	12	12
<b>დამხმარე ნაგებობის გაბარიტები:</b>			
შენობის იატაკის ნიშნული	მზდ	1069	1069
შენობის სიგრძე	მ	9.6	9.6
შენობის სიგანე	მ	12.7	12.7
<b>გამყვანი არხი:</b>			
სიგანე	მ	1,5	1,5

სიმაღლე	მ	1,7	1,7
სიგრძე	მ	12,85	12,85
ძირის ნიშნული	მზდ	1064.55	1064.55

სურათი 2.1. საშულა ჰესის სიტუაციური სქემა თავდაპირველი პროექტის მიხედვით



## 2.1. ჰესის ნაგებობების მოკლე მიმოხილვა

როგორც პირველ პარაგრაფშია მოცემული, ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს მხოლოდ სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზის ზოგიერთი მონაკვეთის ცვლილებას და ჰესის სხვა ნაგებობების ადგილმდებარეობის ან ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების ცვლილებას ადგილი არ აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულია ჰესის ნაგებობის ზოგადი აღწერა და შედარებით დეტალურადაა განხილული სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზის თავდაპირველი პროექტი.

### 2.1.1. ჰესის სათავე ნაგებობა

ჰესის სათავე ნაგებობის შემადგენლობაში მოწყობილია შემდეგი ინფრასტრუქტურა :

- წყალსაგდები ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფს წყალდიდობის ხარჯის სათავე ნაგებობიდან ქვედა ბიეფში უსაფრთხოდ გატარებას;
- ე.წ. საფეხურებიანი თევზსავალი;
- გამრეცხი ფარი, ზედა ბიეფში აკუმულირებული ნატანის გატარების მიზნით;
- ეკოლოგიური ხარჯის გამტარი მილი;
- ტიროლის ტიპის წყალმიმღები საანგარიშო ხარჯით 1.8 მ<sup>3</sup>/წმ;
- შემკრები არხი ნაგავდამჭერის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს წყალმიმღებიდან ქვიშადამჭერში წყლის გადაცემას, და რომელიც აღჭურვილია ავარიული წყალსაგდებით;
- ქვიშადამჭერი, რომელიც უზრუნველყოფს წვრილი ნაწილაკებისა და ქვიშის დალექვას;
- ავანკამერა, რომელიც დაგეგმილია ფოლადის სადაწნეო მილსადენის წყალმიმღებ ნაგებობასთან და აღჭურვილია ავარიული საკეტი, ისევე როგორც წყალსაგდები.


სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში წყლის ნორმალური შეტბორვის დონე შეადგენს 1225 მ-ს. წყალმიმღები გალერეის სიგანე შეადგენს 6.8 მ-ს. გრავიტაციული კაშხლის წყალმიმღები ნაწილის ქიმის ნიშნულები შეადგენს 1224.8 მ-ს, ხოლო წყალსაშვიანი ნაწილის ქიმის ნიშნული 1225.27 მ-ს. გისოსებზე წყლის გადადინების შემდგომ წყალი ხვდება წყალმიმღებ გალერეაში.


წყალმიმღების გისოსების ქვემოთ წყალშემკრები გალერეის სიგანე შეადგენს 1.55 მ-ს. გვერდითი ქანობით სალექარის შესასვლელის მიმართულებით სალექარამდე მდებარე მიმყვანი არხის სიგრძე შეადგენს 18 მ, რომელზეც მოწყობილია გვერდითი ავარიული წყალსაგდები, რომლის ძირითადი ფუნქციაა გადაღვაროს ტურბინის ხარჯსა და წყალმიმღების ხარჯს შორის არსებული ნამეტი წყალი.

სანიტარული ნორმების გათვალისწინებით, მდინარეში ეკოლოგიური გარემოს შესანარჩუნებლად, მუდმივად უნდა იყოს სანიტარული ხარჯი რომლის გატარებასაც უზრუნველყოფს თევზსავალი და ასევე შემომვლელი მილით, რომელიც მოწყობილია მარცხენა კედელში.

ორსექციიანი სალექარი მოწყობილია მდინარის მარცხენა სანაპიროზე. სათავე ნაგებობის ქვედა დინებაში გასატერებელი 0.12 მ<sup>3</sup>/წმ ხარჯის გატარება ხდება 350 მმ დიამეტრის შემოვლითი მილით. სათავე ნაგებობაზე მოწყობილია საფეხურებიანი თევზსავალი, სადაც საფეხურებში წყლის დონეთა სხვაობა შეადგენს 0.2 მ-ს, წყლის მაქსიმალური სიჩქარე 2.0 მ/წმ-ს, ხოლო მინიმალური ხარჯი 0.05 მ<sup>3</sup>/წმ-ს. თევზსავალი დაპროექტებულია საშუალა ჰესის განთავსების არეალში მონაკვეთზე მობინადრე ნაკადულის კალმახის მიგრაციის უზრუნველყოფის მიზნით.

სათავე ნაგებობის გეგმა და ჭრილები მოცემულია ნახაზებზე 2.1.1.1. და 2.1.1.2. **ახაზი 2.1.1.1.** საშუალა ჰესის სათავე ნაგებობის გეგმა, მ 1:100



**ნახაზი 2.1.1.2. საშუალა ჰესის სათავე ნაგებობის ჭრილი, მ 1:100****2.1.2. სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზა**

„საშუალა ჰესის“ საბაზისო პროექტის მიხედვით, ჰესის სადაწნეო მილსადენი ძირითადად განთავსებულია საექსპლუატაციო გზის დერეფანში.

პროექტის მიხედვით მისასვლელი გზის ტრასა ძირითადად გადის მდ. საშუალას მარჯვენა ნაპირზე, ციცაბო რელიეფის პირობებში. ასეთი გადაწყვეტის შედეგად მნიშვნელოვნადაა შემცირებული გარემოზე, განსაკუთრებით გეოლოგიურ გარემოზე და ასევე ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები.

სადაწნეო მილსადენი განთავსებულია მიწის ქვეშ და მოწყობილი ფოლადის 914 მმ დიამეტრის მილებით. თავდაპირველი პროექტის მიხედვით, სადაწნეო მილსადენის საერთო სიგრძე შეადგენდა 1889 მ-ს, რაც შემცირებულია პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით და დღეისათვის შეადგენს 1855 მ-ს.


მილსადენის და საექსპლუატაციო გზის ჭრილები მოცემულია ნახაზზე 2.1.2.1.

როგორც აღინიშნა სადაწნეო მილსადენის ძირითადი ნაწილი მდებარეობს მდ. საშუალას მარჯვენა სანაპირო და მხოლოდ საწყის მონაკვეთზეა განთავსებული მარცხენა სანაპიროზე. მდინარის გადაკვეთა ხდება საავტომობილო ხიდზე მოწყობილი აკვედუკის საშუალებით. მდინარის გადაკვეთის სქემა მოცემულია ნახაზზე 2.1.2.2.


სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზის დერეფანი გადაკვეთს მდ. საშუალას მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე არსებულ 5 ბუნებრივ ხევს. მილხიდები გათვალისწინებულია 100 წლიანი ხარჯების გატარებაზე, რისთვისაც მოწყობილია 1018 მმ დიამეტრის გამტარი მილები. ბუნებრივი ხევების გადაკვეთა ხდება მილხიდების საშუალებით. მილხიდების სქემა მოცემულია ნახაზზე 2.1.2.3.

**ნახაზი 2.1.1** მისასვლელი გზის და სადაწნეო მილსადენის ტიპური განივი ჭრილები


ტიპური პანოში ზომი; ყბოლი  
1:100




ტიპური პანოში ზომი; ნახევარ ყბოლი  
1:100




ტიპური პანოში ზომი; ნახევარ ზრა (კლდე მხოლოდ)  
1:100




ტიპური პანოში ზომი; ზრა (ბრუნტი მხოლოდ)  
1:100




ტიპური პანოში ზომი; ზრა (ციცასი)  
1:100





ტიპური პანოში ზომი; ნახევარ ზრა (ციცასი ბრუნტი)  
1:100



ნახაზი 4.1.2.2. ხიდის და მილსადენის ურთიერთგანლაგების სქემა



ნახაზი 4.1.2.3. მილხიდის ტიპური სქემა



### 2.1.3. ძალური კვანძი

ძალური კვანძის მოწყობილია საშუალა 1 ჰესის სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში მის უშუალო სიახლოვეს. მიწისზედა ჰესის შენობაში დამონტაჟებულია 1 ერთეული პელტონის ტიპის ტურბინა.

ჰესის საანგარიშო ხარჯი შეადგენს 1.8 მ<sup>3</sup>/წმ-ს, სტატიკური დაწნევა 172 მ-ს, ხოლო ჰესის დადგმული სიმძლავრე 2.25 მგტ-ს, საშუალო წლიური გამომუშავება 1065 მგტ/სთ-ს.

ძალური კვანძის ტერიტორიაზე მოწყობილია 35 კვ ძაბვის ქვესადგური, საიდანაც გამომუშავებული ელექტროენერჯის მიწოდება საშუალა 1 ჰესის ქვესადგურს 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა/საკაბელო საკაბელო ხაზის საშუალებით, რომლის სიგრძე შეადგენს 3.215 მ-ს.

### 3. პროექტში შეტანილი ცვლილებების აღწერა

როგორც პირველ პარაგრაფშია მოცემული, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში დაზუსტებული ტოპოგრაფიული და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზის თავდაპირველ პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე და პროექტი განხორციელდა ცვლილების მიხედვით, კერძოდ: საპროექტო დერეფნის ბოლო მონაკვეთის შედარებით რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე შეცვლილია **საექსპლუატაციო გზის დერეფნის** სადაწნეო მილსადენის ბოლო დაახლოებით 250 მ სიგრძის მონაკვეთი. როგორც აღნიშნა, ცვლილება განპირობებული იყო ფაქტობრივი რელიეფისა და დამატებით გამოვლენილი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით. აღნიშნულ მონაკვეთზე დამატებით გამოყენებული ტერიტორიის ფართობია 1130 მ<sup>2</sup>.

გარდა აღნიშნულისა, მშენებლობის პროცესში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საპროექტო დერეფნის ოთხ მონაკვეთზე, ფაქტობრივი მდგომარეობით, შეცვლილია საექსპლუატაციო გზის კონტური და მცირე ფართობებზე ექცევა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. ოთხივე მონაკვეთის საერთო ფართობია 763 მ<sup>2</sup>.

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით ჰესის ნაგებობების GIS კოორდინატები shp ფაილების სახით თან ერთვის სკრინინგის ანგარიშს. სულ პროექტში შეტანილი ცვლილების შედეგად, კორექტირებული დერეფნის ფარგლებში დამატებით გამოყენებული იქნა 1 893 მ<sup>2</sup> ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია, მათ შორის:

- მისასვლელი გზის და სადაწნეო მილსადენის დერეფნის ბოლო 250 მ სიგრძის მონაკვეთზე გამოყენებული ტერიტორიის საკადასტრო კოდებია: N 28.24.29.762 (903 მ<sup>2</sup>) და N 28.24.29.763 (227 მ<sup>2</sup>). აღნიშნული ტერიტორიის გამოყენების თაობაზე საკითხი შეთანხმებულია სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-სთან. შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-სათვის განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის მინიჭების თაობაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება მოცემულია დანართში N1.
- მისასვლელი გზის და სადაწნეო მილსადენის დანარჩენ ოთხ მონაკვეთზე დამატებით გამოყენებული მიწის ნაკვეთების ფართობები პირობითი ნუმერაციის მიხედვით შემდეგია: პირველი ნაკვეთი 2 მ<sup>2</sup>, მეორე ნაკვეთი 496 მ<sup>2</sup>, მესამე ნაკვეთი 135 მ<sup>2</sup>, მეოთხე ნაკვეთი 131 მ<sup>2</sup>. აღნიშნულ მონაკვეთებზე, განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია წარდგენილია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში (წარდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოში რეგისტრაციის ნომერია N6829/11-14.05.2026 წელი). დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია თან ერთვის სკრინინგის ანგარიშს, იხილეთ დანართი N2.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ოთხ მონაკვეთზე ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, აღრიცხვას დაქვემდებარებული ხე მცენარეები არ არის წარმოდგენილი და შესაბამისად არც საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები ყოფილა იდენტიფიცირებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განხორციელებული ცვლილებით არ შეცვლილა თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ჰესის დაწნევა, დადგმული სიმძლავრე, გამომუშავებული ელექტრონერგის რაოდენობა და სხვა ტექნიკური პარამეტრები.


პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით, საპროექტო დერეფანში გზის და სადაწნეო მილსადენის სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული სქემის მიხედვით. ცვლილების მონაკვეთზე არსებული ბუნებრივი ხევების გადაკვეთა მოხდა მილხიდის სამუშაოებით, ხოლო სათავე ნაგებობის მიმდებარე მონაკვეთზე მდ. საშუალას გადაკვეთა, საავტომობილო ხიდი, როგორც გათვალისწინებული იყო თავდაპირველი პროექტის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ პროექტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, შემცირებულია საექსპლუატაციო გზის და სადაწნეო მილსადენის სიგრძეები, კერძოდ: გზის სიგრძე შემცირებულია დაახლოებით 250 მ-ით, ხოლო სადაწნეო მილსადენის სიგრძე შეცვლილია უმნიშვნელოდ, დაახლოებით 34 მ-ით. შესაბამისად შემცირდა (დაახლოებით 6 631 მ<sup>2</sup>-ით) პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიის ფართობი, რითაც გარკვეულადაა შემცირებული გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებულ დერეფანში სამუშაოები არ არის შესრულებული და შესაბამისად არ არის ჩატარებული მცენარეული საფარის გარემოდან ამოღების სამუშაოები.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული ცვლილება გარემოზე ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ არის. საექსპლუატაციო გზის და სადაწნეო მილსადენის სიგრძის შემცირებით, შემცირებულია პროექტის გამოყენებული ფართობი.

სურათი 3.1. ტერიტორიის სიტუაციური სქემა საპროექტო ცვლილების მიხედვით



**4. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება**

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელდა „საშუალა ჰესის“ მშენებლობის პროცესში, მისასვლელი გზისა და სადაწნეო მილსადენის ერთიანი დერეფნის ცალკეული მონაკვეთების, ლოკალური კორექტირების მიზნით. როგორც ზემოთ აღინიშნა, თავდაპირველ პროექტთან შედარებით ცვლილებები განხორციელდა გზის ბოლო 250 მ სიგრძის მონაკვეთზე და გზის ზედა ნიშნულებზე 4 მონაკვეთზე.

აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული ტექნოლოგიური სქემის მიხედვით და დამატებითი სამშენებლო ტექნიკის ან პერსონალის გამოყენებას ადგილი არ ქონია.

როგორც მე-3 პარაგრაფშია მოცემული, მცირედით მაგრამ შემცირებულია სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზის სიგრძეები და შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები. როგორც თავდაპირველი პროექტის, ასევე პროექტში შეტანილი ცვლილების დერეფანში წარმოდგენილია ერთი ბუნებრივი ხევის გადაკვეთაზე მოწყობილია მილხიდი, ხოლო მდ. საშუალას გადაკვეთაზე საავტომობილო ხიდი. მილხიდის და საავტომობილო ხიდის კონსტრუქცია და გამტარიანობა, თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული ნაგებობების იდენტურია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საშუალა ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებები განხორციელებულია მშენებლობის ფაზაზე და შესაბამისად გარემოზე დამატებით ზემოქმედებას ადგილი არ ქონია.

**5. ინფორმაცია განხორციელებული ცვლილების ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა და ზემოქმედების რისკები**

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, პროექტში შეტანილი ცვლილებები შეეხება მხოლოდ რამდენიმე მონაკვეთის დერეფნის ცვლილებას და შესაბამისად ჰესის სხვა ნაგებობების ცვლილებას ადგილი არ აქვს.

აღნიშნული ცვლილების ფარგლებში, გარემოს ზოგიერთ რეცეპტორზე ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო სხვა რეცეპტორებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც მინიმალური.

შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების ზოგიერთი სახის დეტალური განხილვა წინამდებარე ანგარიშში არ ჩაითალა მიზანშეწონილად.

განხილვიდან ამოღებული ზემოქმედების სახეების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 5.1.

**ცხრილი 5.1. განხილვიდან ამოღებული ზემოქმედების სახეები**

ზემოქმედების სახე	განხილვიდან ამოღების საფუძველი
<p><b>ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, არქეოლოგიური ძეგლების დაზიანება</b></p>	<p>როგორც გზმ-შია მოცემული საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევების და ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ფიქსირდება.</p> <p>აღსანიშნავია, რომ პროექტში შეტანილი ცვლილების მონაკვეთზე ჩატარებული სამუშაოების პროცესში მიწის სამუშაოების შესრულების დროს არქეოლოგიური ძეგლების ან რაიმე არტეფაქტების გამოვლენას ადგილი არ ქონია.</p> <p>მდ. საშუალას ხეობაში არსებული ერთადერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, გორთაფონის სამონასტრო კომპლექსი, პროექტში შეტანილი ცვლილების მონაკვეთიდან</p>

	<p>დაცილებულია 5 კმ-ზე მეტი მანძილით და შესაბამისად ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.</p> <p>აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტში შეტანილი ცვლილებები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ არის.</p>
<p><b>ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე</b></p>	<p>როგორც ზემოთ აღინიშნა, მისასვლელი გზის და სადაწნეო მილსადენის დერეფნის ცვლილებები განხორციელდა ჰესის მშენებლობის ფაზაზე და ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ სამუშაოების შესრულებას ადგილი არ ქონია. შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება დამატებით ზემოქმედებას ადგილი არ აქვს.</p> <p>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამუსაოები შესრულებულია ცვლილებების მიხედვით დერეფნის შეცვლილ მონაკვეთებზე და თუ გავითვალისწინებთ, რომ პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით, შემცირებულია პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიის ფართობი, ნიადაგის ნაყოფიერი ფენაზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების ზრდას ადგილი არ ქონია.</p>
<p><b>დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედება</b></p>	<p>საშუალა ჰესის განთავსების ტერიტორია მოქცეულია გურიის ეროვნული პარკის საზღვრებში, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გურიის ეროვნული პარკი შექმნილია 2024 წელში, ხოლო საშუალა ჰესის ექსპლუატაციაში გადაეცა 2023 წელს. შესაბამისად პროექტში შეტანილი ცვლილება განხორციელებულია ეროვნული პარკის შექმნამდე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება შეფასებულია როგორც საშუალო ზემოქმედება.</p> <p>როგორც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული საპროექტო ტერიტორიიდან ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანი „კინტიში“ დაშორებულია 20 კმ-ზე მეტი მანძილით.</p> <p>გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებები დაცული ტერიტორიების ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ ყოფილა.</p>
<p><b>ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე</b></p>	<p>სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზის სიგრძეების შემცირებასთან დაკავშირებით, მცირედით მაგრამ შემცირებული იყო შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და შესაბამისად სატრანსპორტო ოპერაციები.</p> <p>შესაბამისად, პროექტში შეტანილი ცვლილება სატრანსპორტო ნაკადების ზრდასთან დაკავშირებული არ ყოფილა.</p>
<p><b>ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე</b></p>	<p>როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, პროექტში შეტანილი ცვლილებები განხორციელდა ჰესის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ჰესის დროებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურის გამოყენებით.</p> <p>აღსანიშნავია, რომ ცვლილების მიხედვით, შემცირებულია როგორც სადაწნეო მილსადენის, ასევე საექსპლუატაციო გზის სიგრძე და შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების</p>

	<p>მოცულობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მცირედით, მაგრამ ადგილი ქონდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების შემცირებას.</p>
<p><b>ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება</b></p>	<p>საქმიანობის ხასიათისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, განხორციელებულ სამუშაოებს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არ გააჩნდა.</p>

**5.1. გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება**

როგორც აღინიშნა, სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზის დერეფნის გარკვეული მონაკვეთების ცვლილება განპირობებული იყო თავდაპირველ პროექტთან შედარებით, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით ნაკლები რისკის მქონე დერეფნის შერჩევით, მშენებლობის პროცესში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

გარდა აღნიშნულისა ცვლილების მიხედვით შემცირებულია საექსპლუატაციო გზის და სადაწნეო მილსადენის სიგრძეები. შესაბამისად შემცირებულია მიწის სამუშაოების მოცულობები და აქედან გამომდინარე გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები.

მდ. საშუალას ხეობაში გავრცელებული ქანები, ძირითადად, მაღალი სიმტკიცით გამოირჩევიან და ფერდობები დაფარულია ხშირი ხე-მცენარეებითა და ბუჩქნარებით. უმეტესწილად ფერდობები დაკორდებულია, რაც ასუსტებს ქანების გამოფიტვისა და ზედაპირული წყლის ნაკადებით გამოწვეულ ეროზიულ პროცესებს.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განხორციელებული სამუშაოები შესრულდა მისასვლელი გზისა და სადაწნეო მილსადენის ტრასის ლოკალურ უბნებზე. გეოლოგიური გარემოს შეფასება განხორციელდა არსებული საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემებისა და მშენებლობის პროცესში ადგილზე ჩატარებული დაკვირვებების საფუძველზე.

ფერდობის ჭრილებში გამოვლენილია პალეოგენური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი წარმოშობის მკვრივი ქანები, რომლებიც ხასიათდება მასიურობით და შედარებით დაბალი დანაპრალიანებით. ფერდობის ზედა ნაწილებში აღინიშნა ქანების გამოფიტვის თხელი ზონა და ელუვიურ-დელუვიური ნალექები, რომლებიც არ ატარებს მეწყრულ ან სხვა აქტიურ გეოდინამიკურ ხასიათს. აღნიშნული ლითოლოგიური პირობები განაპირობებს გეოდინამიკური რისკების დაბალ დონეს.

საპროექტო ცვლილების მონაკვეთებზე არსებული ერთი ბუნებრივი ხევის გადაკვეთა შესრულებულია მილხიდის საშუალებით, ხოლო მდ. საშუალას გადაკვეთა საავტომობილო ხიდის საშუალებით, რომელთა პარამეტრები სრულად შეესაბამება თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებულ ნაგებობას.

როგორც აღინიშნა, თავდაპირველ პროექტთან შედარებით შემცირდა მიწის სამუშაოების მოცულობები, რაც დადებითად აისახა გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ჰესის ექსპლუატაციის განვლილი პერიოდის (2023 წლიდან დღემდე) განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, გეოლოგიური გარემო სტაბილურია და საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების ნიშნები არ დაფიქსირებულა.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში შეტანილი ცვლილებები გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ არის და ადგილი აქვს ზემოქმედების რისკების გარკვეულ შემცირებას.

## 5.2. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

### 5.2.1. ზემოქმედება ფლორაზე

პროექტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით შემცირებულია პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიის ფართობი (დაახლოებით 6 631 მ<sup>2</sup>-ით) და სამშენებლო სამუშაოების მოცულობები. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტი, რომ ცვლილების მიხედვით გამოყენებული ტერიტორია, უშუალოდ ესაზღვრება თავდაპირველი პროექტით განსაზღვრულ დერეფანს და შესაბამისად გავლენის ზონაში მოქცეული ჰაბიტატების ტიპების და მცენარეთა სახეობების ცვლილებას ადგილი არ აქვს.

საშუალა ჰესის გავლენის ზონაში მოქცეული ტერიტორია და მათ შორის პროექტში შეტანილი ცვლილებით განსაზღვრული დერეფანი, მოქცეულია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფარგლებში. მისასვლელი გზის და სადაწნეო მილსადენის დერეფნის ბოლო მონაკვეთზე სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე პროექტის განხორციელების თაობაზე საკითხი შეთანხმებულია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და ყველა კონკრეტულ ნაკვეთზე გაცემულია განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყით სარგებლობის უფლება. განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყით სარგებლობის უფლება გაცემულია ასევე პროექტში შეტანილი ცვლილებით განსაზღვრულ 1130 მ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორიაზეც. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2025 წლის 11 დეკემბრის N3757/ს ბრძანების ასლი მოცემულია დანართში N1.

რაც შეეხება დერეფნის ზედა ნიშნულებზე 4 მონაკვეთზე განხორციელებულ ცვლილებებს, განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია მიმდინარე წლის 14 მაისს წარდგენილია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში და დაწყებულია შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება. სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია მოცემულია დანართში N2.

საავტომობილო გზის დერეფნის ნაწილი, რომლებიც პროექტში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე არ არის ათვისებული, სამუშაოები არ არის შესრულებული და დადგენილი წესით დაუბრუნდება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს.

მონიტორინგის გეგმის მიხედვით, ჰესის საპროექტო არეალში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში 2 ჯერ. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საზღვრების დარღვევის და მიმდებარე არეალის მცენარეულ საფარზე ზემოქმედების ფაქტები დაფიქსირებული არ არის. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, დღეისათვის აქტიურად მიმდინარეობს ბუნებრივი რეკულტივაციის პროცესი და ზემოქმედება განცდილი ფერდობების დიდი ნაწილი დაფარულია მცენარეული საფარით, რომელთაგან დომინანტია მურყანი (*Alnus barbata*). გამომდინარე იქედან, რომ ჰესის საექსპლუატაციო გზა გამოიყენება მხოლოდ ჰესის პერსონალის გაადვილებისათვის, მოძრაობის ინტენსივობა ძალზე დაბალი და ჰაბიტატების ფრაგმენტაციით გამოწვეული ზემოქმედება არ არის მაღალი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტში შეტანილი ცვლილებების განხორციელება, ფლორაზე და ჰაბიტატებზე დამატებით ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის. შესაბამისად დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება საჭიროებას არ წარმოადგენს.

### 5.2.2. ზემოქმედება ფაუნაზე

თავდაპირველი პროექტით და საპროექტო ცვლილებით განსაზღვრული დერეფნების უშუალოდ სიახლოვიდან გამომდინარე, ორივე დერეფანი ცხოველთა სახეობების და მათი საბინადრო ადგილების თვალსაზრისით იდენტურია და შესაბამისად პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების ზრდას ადგილი არ ქონია. თუ გავითვალისწინებთ, რომ შემცირებულია პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიის ფართობი ადგილი აქვს ცხოველთა სახეობებზე მცირედით მაგრამ შემცირებულ ზემოქმედებას.

საშუალა ჰესის გავლენის ზონაში, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ტარდება წელიწადში ორჯერ და კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარდგენილია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ჰესის ნაგებობების განთავსების მიმდებარე არეალში დაფიქსირებულია შველი, მურა დათვი. იდენტიფიცირებულია ასევე მაჩვი, კვერნა, ტურა. აღნიშნული მიუთითებს, რომ ჰესის სამშენებლო სამუშაოებს და ექსპლუატაციის პროცესს არ შეუქმნია განსაკუთრებული დისკომფორტი ცხოველთა სახეობებისათვის. ფაუნის წარმომადგენლები ხეობაში ბინადრობენ/მიგრირებენ და აღნიშნულ ადგილებს არ ერიდებიან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროექტში შეტანილი ცვლილებები პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიების ზრდას არ ითვალისწინებს და პირიქით, გამოყენებული ტერიტორიების ფართობი შემცირებულია, რაც დადებითად აისახება ცხოველთა სახეობებზე ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მიხედვით არ არის გათვალისწინებული ჰესების მიერ ასაღები ენერგეტიკული ხარჯის და ასევე ეკოლოგიური ხარჯის ცვლილება, წყალთან დაკავშირებულ ცხოველთა სახეობებზე, მათ შორის წავზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების ზრდას ადგილი არ აქვს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიშში განხილული საპროექტო ცვლილებები ცხოველთა სახეობებზე ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ არის. და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება საჭიროებას არ წარმოადგენს.

### 5.2.3. ზემოქმედება წყლის ბიოლოგიურ გარემოზე

პროექტში შეტანილი ცვლილება ეხებოდა მხოლოდ სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზის დერეფნის გარკვეული მცირე მონაკვეთების ცვლილებას. არ არის შეცვლილი ჰესის მიერ ასაღები წყლის ხარჯი და სათავე ნაგებობის ქვედა დინებაში გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯი. ამასთანავე სამუშაოების შესრულებას მდინარის კალაპოტში ადგილი არ ქონია. გამომდინარე აღნიშნულიდან, განხორციელებული ცვლილება წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ზრდასთან დაკავშირებული არ არის.

საშუალას ჰესების კასკადის გავლენის ზონაში მოქცეულ მდ. საშუალას მონაკვეთზე, წყლის ბიოლოგიური გარემოს მონიტორინგი ტარდება წელიწადში ორჯერ და შედეგები წარედგინება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, მდ. საშუალას კალაპოტში არსებული ჰაბიტატები უზრუნველყოფს ჰიდრობიონტებისთვის ეკოლოგიურად სტაბილურ და ფუნქციურ საცხოვრისს. საველე, ლაბორატორიულმა და კამერალურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ჰიდრობიონტებზე შეუქცევად ნეგატიურ ზემოქმედებას ადგილი არ აქვს.

იქთიოლოგიური კვლევების შედეგებით, საშუალას ჰესების კასკადის გავლენის ზონაში დასტურდება თევზის ორი სახეობის არსებობა: ნაკადულის კალმახი (*Salmo labrax*) და

სამხრეთული მარდულა/ფრიტა (*Alburnoides fasciatus*). მათ შორის საშუალა ჰესის მონაკვეთზე ნაკადულის კალმახი (*Salmo labrax*). მოპოვებული ინდივიდების ასაკობრივი და ზომობრივი ჯგუფები მიუთითებს როგორც ბუნებრივ რეპროდუქციაზე, ისე გამსვლელი ფორმების არსებობაზე, რაც მდინარის გარემოსდაცვით ფუნქციურობას ადასტურებს.

მონიტორინგის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ „საშუალა ჰესი“-ს ექსპლუატაცია შეუქცევად ნეგატიურ ზემოქმედებას არ ახდენს მდინარე საშუალას ჰიდრობიოლოგიურ და იქთიოლოგიურ გარემოზე.

### 5.3. ზემოქმედება წყლის გარემოზე

საპროექტო ცვლილებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა ძირითადად მდ. საშუალას მარჯვენა ფერდობზე, მდინარის კალაპოტისაგან დაახლოებით 100 მ-ის დაშორებით და ჰიფსომეტრიულად დაახლოებით 40-50 მ-ით მაღლა კალაპოტის დონესთან შედარებით. მდინარის კალაპოტის სიახლოვეს სამუშაოები განხორციელდა სათავე ნაგებობის ქვედა დინებაში მდ. საშუალაზე მოწყობილი ხიდის მშენებლობის პროცესში. ცვლილებების გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული სქემის მიხედვით და გზმ-ს ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

მშენებლობის ფაზაზე, საშუალა ჰესის სამშენებლო სამუშაოები შესრულდა საშუალ 2 ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო ბანაკის გამოყენებით, სადაც საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გაწმენდა ხდებოდა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის საშუალებით. ამასთანავე ბანაკის ტერიტორიაზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნის წყაროები არ იყო წარმოდგენილი. შესაბამისად წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი არ იყო მაღალი.

ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე, ჰესის შენობის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების მიზნით გამოყენებულია მდ. საშუალას მარჯვენა უსახელო შენაკადის წყალი. წყალაღების წერტილის GIS კოორდინატებია: X-273953; Y-4642482.

საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გაწმენდა ხდება ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარის საშუალებით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების თეორიული რისკი არსებობს ჰესის ქვესადგურის ტერიტორიიდან, კერძოდ: ტრანსფორმატორების განთავსების უბნიდან. სანიაღვრე წყლების დაბინძურების პრევენციის მიზნით, დაგეგმილია ტრანსფორმატორების განთავსების უბნის გადახურვა, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მდ. საშუალაში დაბინძურებული წყლების ჩაშვების ალბათობას.

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, პროექტში შეტანილი ცვლილება შეეხო მხოლოდ სადაწნეო მილსადენს და საექსპლუატაციო გზას და ჰესის მიერ ასაღები წყლის და ეკოლოგიური ხარჯის ცვლილებას ადგილი არ აქვს. გარემოსდაცვითი მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულია მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის და სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში გატარებული ეკოლოგიური ხარჯის სისტემატური აღრიცხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროექტში შეტანილი ცვლილება წყლის გარემოზე ზემოქმედების ზრდასთან დაკავშირებული არ არის.

### 5.4. ნარჩენების მართვა

პროექტში შეტანილი ცვლილებები დაკავშირებული იყო სამშენებლო სამუშაოების მოცულობების მცირედით შემცირებასთან. ამასთანავე არ ყოფილა შეცვლილი გამოყენებული ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების სახეები და რაოდენობები. გამომდინარე აღნიშნულიდან, მშენებლობის ფაზაზე ნარჩენების რაოდენობის ზრდას ადგილი არ ქონია.

განხორციელებული სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები ძირითადად წარმოდგენილი ექსკავირებული ქანები, რომელთა ძირითადი ნაწილი გამოყენებული იყო პროექტის მიზნებისათვის უკუყრილების სახით, ხოლო ნამეტი გრუნტის განთავსება მოხდა თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული სქემის მიხედვით, ფუჭი ქანების სანაყაროზე.

როგორც მშენებლობის ფაზაზე, ასევე ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხდება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ პროექტში შეტანილი ცვლილებები ნარჩენების სახეობრივი შემადგენლობის და რაოდენობების ზრდასთან დაკავშირებული არ ყოფილა.

### 5.5. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები

პროექტში შეტანილი ცვლილების დერეფანი დიდი მანძილითაა დაცილებული უახლოესი დასახლებული პუნქტებიდან (7.5 კმ) და სამონასტრო კომპლექსიდან (5 კმ). განხორციელებული ცვლილებების მიხედვით შემცირებულია მისასვლელი გზის სიგრძე, რაც მცირედით მაგრამ მაინც ამცირებს ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებებით გამოწვეულ ზემოქმედებას.

შესრულებული საქმიანობის მასშტაბებიდან და სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც უმნიშვნელო.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველ პროექტთან შედარებით, ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედების ზრდას ადგილი არ აქვს.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ზემოქმედება განცდილ ტერიტორიებზე აქტიურად მიმდინარეობს ბუნებრივი რეკულტივაციის პროცესი და ჩატარებული სარეკულტივაციო სამუშაოების გათვალისწინებით, ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

### 5.6. კუმულაციური ზემოქმედება

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განხორციელებული სამუშაოები იყო ლოკალური ხასიათის და შეეხო მხოლოდ მისასვლელი გზისა და სადაწნეო მილსადენის დერეფნის მოკლე მონაკვეთის კორექტირებას. ამასთანავე ცვლილების მიხედვით შემცირებულია როგორც საექსპლუატაციო გზის, ასევე სადაწნეო მილსადენის სიგრძეები და შესაბამისად შემცირებულია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები. გარდა ამისა, სამუშაოები შესრულებულია თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული ტექნოლოგიური სქემით და ასევე სამშენებლო ტექნიკით და სატრანსპორტო საშუალებებით. შესაბამისად ცვლილების განხორციელების მიზნით, არ ყოფილა გამოყენებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების დამატებითი წყაროები.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ საშუალა ჰესის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დამთავრებული იყო საშუალა 1 და საშუალა 2 ჰესების სამშენებლო სამუშაოები, ხოლო სხვა რაიმე ობიექტის სამშენებლო სამუშაოები მდ. საშუალას ხეობაში არ მიმდინარეობდა.

გამომდინარე აღნიშნულიდან, შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე ანგარიშში განხილული ცვლილებების განხორციელების ფაზაზე, გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკების

ზრდასთან დაკავშირებული არ ყოფილა. განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედება არც ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე არ არის მოსალოდნელი.

**6. საპროექტო ცვლილებების გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება**

საშუალა ჰესის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება შესრულებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. იხილეთ ცხრილი 6.1.

**ცხრილი 6.1.**

	ნობის მახასიათებლები:	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		მოკლე რეზიუმე
		დიახ	არა	
<b>1.0. საქმიანობის მასშტაბი</b>				
1.2	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება.		+	<p>როგორც 5.6. პარაგრაფშია მოცემული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განხორციელებული სამუშაოები იყო ლოკალური ხასიათის და შეეხო მხოლოდ მისასვლელი გზისა და სადაწნეო მილსადენის დერეფნის მოკლე მონაკვეთის კორექტირებას. ამასთანავე ცვლილების მიხედვით შემცირებულია როგორც საექსპლუატაციო გზის, ასევე სადაწნეო მილსადენის სიგრძეები და შესაბამისად შემცირებულია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები. გარდა ამისა, სამუშაოები შესრულებულია თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული ტექნოლოგიური სქემით და ასევე სამშენებლო ტექნიკით და სატრანსპორტო საშუალებებით. შესაბამისად ცვლილების განხორციელების მიზნით, არ ყოფილა გამოყენებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების დამატებითი წყაროები.</p> <p>გამომდინარე აღნიშნულიდან, შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე ანგარიშში განხილული ცვლილებები გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ არის.</p>
1.3.	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება		+	<p>წინამდებარე ანგარიშში განხილულ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მიხედვით, საშუალა ჰესის პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიის ფართობი შემცირებულია დაახლოებით 6 631 მ<sup>2</sup>-ით, რაც დადებითად აისახა გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების თვალსაზრისით.</p> <p>ცვლილებების მიხედვით დამატებით გამოყენებულია 1 893 მ<sup>2</sup> ფართობის სსიპ</p>

			<p>ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორია, აქედან 1130 მ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებით გაცემულია განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყით სარგებლობის უფლება (იხილეთ დანართი N1). დანარჩენ 4 მონაკვეთზე არსებულ, 763 მ<sup>2</sup> საერთო ფართობის ტერიტორიებზე განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მიღების მიზნით დოკუმენტაცია წარდგენილია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში (დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია მოცემულია დანართში N2).</p> <p>პროექტის მიზნებისათვის გამოუყენებელი ტერიტორია, რომელზედაც გაცემული იყო განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყით სარგებლობის უფლება, დადგენილი წესით დაუბრუნდება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს.</p> <p>გამომდინარე იქედან, რომ ცვლილებით გამოყენებული ტერიტორიები მდებარეობს თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული საპროექტო დერეფნის უშუალო სიახლოვეს, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, განსხვავებული ჰაბიტატები, ასევე მცენარეთა და ცხოველთა სახეობები იდენტიფიცირებულია არ რის. შესაბამისად ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკების ცვლილებას ადგილი არ ქონია.</p> <p>თუ გავითალისწინებთ, რომ სამშენებლო სამუშაოების მოცულობები მცირედით შემცირებულია და ასევე არ შეცვლილა ჰესის მშენებლობის ტექნოლოგიური სქემა და დასაქმებული პერსონალის რაოდენობა, ადგილი არ ქონია გამოყენებული წყლის და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობები.</p> <p>გამომდინარე აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ პროექტში შეტანილი ცვლილებები გამოყენებული ბუნებრივი რესურსების რაოდენობის ან ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ არის.</p>
<p>1.4.</p>	<p>ნარჩენების წარმოქმნა</p>	<p>+</p>	<p>პროექტში შეტანილი ცვლილებები, ნარჩენების სახეობრივი შემადგენლობის ან რაოდენობრივ ცვლილებასთან ან დაკავშირებული არ არის.</p> <p>ნარჩენების მართვა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.</p>

1.5.	გარემოს დაბინძურება და ხმაური		+	<p>თუ გავითვალისწინებთ, რომ პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად მცირედით შემცირდა შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და ასევე სამუშაოები შესრულებული იქნა თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული ტექნოლოგიური სქემით და სამშენებლო ტექნიკით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების ზრდას ადგილი არ ქონია.</p> <p>მშენებლობის ფაზაზე ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით გამოყენებული იყო ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი და ბიოტულალები, ხოლო ექსპლუატაციის ფაზაზე ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის მოწყობილია ასევე კომპაქტური ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა.</p> <p>მონიტორინგის შედეგების მიხედვით მდ. საშუალას წყლის დაბინძურების ფაქტები დაფიქსირებული არ არს.</p> <p>აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროექტში შეტანილი ცვლილება გარემოს დაბინძურების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ არის.</p>
1.6	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		+	<p>საშუალა ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებები მასშტაბური ავარიების ან კატასტროფების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ არის. ავარიული სიტუაციების პრევენციული და შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები ხორციელდება თავდაპირველი პროექტის გზშ-ის ანგარიშში მოცემული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიხედვით.</p>
<b>დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა</b>				
2.1.	ჭარბტენიან ტერიტორიასთან		+	<p>საშუალა ჰესის საპროექტო არეალში და მის სიახლოვეს ჭარბტენიანი ტერიტორიები წარმოდგენილი არ არის.</p>
2.2.	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		+	-
2.3.	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		+	<p>საშუალა ჰესის ნაგებობები განთავსების არეალი, მათ შორის პროექტში შეტანილი ცვლილებით გამოყენებული ტერიტორია, მოქცეულია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის საზღვრებში.</p> <p>გზშ-ს ფაზაზე ჩატარებული კვლევის შედეგების და ასევე პროექტში შეტანილი ცვლილებით გამოყენებულ ტერიტორიაზე საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი მცენარეთა სახეობები იდენტიფიცირებული არ არის.</p> <p>პროექტში შეტანილი ცვლილებით გამოყენებულ 1130 მ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორიაზე</p>

				<p>საქმიანობის განხორციელების თაობაზე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებით გაცემულია განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყითსარგებლობის უფლება (იხილეთ დანართი N1).</p> <p>დანარჩენ 763 მ<sup>2</sup> საერთო ფართობის ტერიტორიებზე განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით დოკუმენტაცია წარდგენილია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში (იხილეთ დანართი N2).</p>
2.4.	დაცულ ტერიტორიებთან		+	<p>როგორც აღინიშნა საშუალა ჰესის ნაგებობები მოქცეულია გურიის გეგმარებითი ეროვნული პარკის არეალში, რომელიც შექმნილია 2024 წელში, ხოლო საშუალა ჰესი ექსპლუატაციაში გადაეცა 2023 წელში.</p> <p>საშუალა ჰესის გზშ-ს ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, შესაძლებელია გეგმარებითი ეროვნული პარკის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება.</p> <p>როგორც წინამდებარე ანგარიშის 5.2 პარაგრაფშია მოცემული, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილი არ აქვს, კერძოდ: საპროექტო არეალში ფიქსირდება საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ის სახეობები, რომლებიც დაფიქსირებული იყო გზშ-ს ფაზაზე დაფიქსირებული კვლევის პერიოდში.</p> <p>სხვა დაცული ტერიტორიები, მაგალითად ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანი „კინტრიში“ დაცილებულია 20 კმ-ით და ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.</p>
2.5.	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		+	<p>საშუალა ჰესის ნაგებობები და მათ სორის პროექტში შეტანილი ცვლილებით განსაზღვრული დერეფანი უახლოესი საცხოვრებელი ზონიდან დაცილებულია არანაკლებ 7.5 კმ-ით, ხოლო სამონასტრო კომპლექსიდან 5 კმ-ით.</p> <p>შესაბამისად საცხოვრებელ ზონებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.</p>
2.6.	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		+	<p>საშუალა ჰესის ნაგებობების ტერიტორიის შესწავლის შედეგად ხილული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები არ გამოვლენილა.</p>

				<p>მნიშვნელოვანია, რომ მშენებლობის პროცესში მიწის სამუშაოების შესრულების დროს არქეოლოგიური ძეგლების გვიანი აღმოჩენის ფაქტებს ადგილი არ ქონია.</p> <p>შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედებას ადგილი არ აქვს.</p>
<b>საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი</b>				
3.1.	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		+	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
3.2.	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		+	შესაბამისი გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინების პირობებში, პროექტში შეტანილი ცვლილებები გარემოზე განსაკუთრებით მაღალ, შეუქცევად ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის. .

## 7. მოკლე რეზიუმე

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მომზადებულია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე საშუალაზე მდებარე 2.25 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის („საშუალა ჰესი“) მისასვლელი გზისა და სადაწნეო მილსადენის დერეფნის ლოკალური მონაკვეთების კორექტირებით გამოწვეული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შეფასების მიზნით.

აღნიშნული ცვლილება განხორციელდა მოქმედი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ფარგლებში და შეეხო დერეფნის რამდენიმე მონაკვეთს. კორექტირებულ მონაკვეთებში დამატებით გამოყენებული იქნა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია საერთო ფართობით 1 893 მ<sup>2</sup>, მათ შორის:

- 1130 მ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორიაზე საკადასტრო კოდებით: N 28.24.29.762 (903 მ<sup>2</sup>) და N 28.24.29.763 (227 მ<sup>2</sup>), სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებით (იხილეთ დანართი N1) გაცემულია განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყითსარგებლობის უფლება;
- დანარჩენ 4 მონაკვეთზე საერთო ფართობით 763 მ<sup>2</sup>, განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაცია წარდგენილია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში (იხილეთ დანართი N2).

პროექტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით გარკვეულად შემცირებულია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები, ამასთანავე ადგილი არ ქონია გამოყენებული სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების სახეობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას. შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების ზრდასთან დაკავშირებული არ ყოფილა

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, შერჩეულია საშიში გეოლოგიური პროცესების თავლსაზრისით შედარებით დაბალი რისკის მქონე დერეფანი. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, არც ცვლილების მონაკვეთზე და არც ჰესის სხვა ნაგებობების განთავსების არეალში საშიში გეოდინამიკური პროცესების მაღლი რისკის უბნები იდენტიფიცირებული არ არის.

გამომდინარე იქედან, რომ ცვლილების დერეფანი მდებარეობს თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული დერეფნის უშუალო სიახლოვეს, გავლენის ზონაში მოქცეული ჰაბიტატები და სახეობები არ ყოფილა განსხვავებული და არ დაფიქსირებული საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები. თუ გავითალისწინებთ, რომ შემცირებულია გამოყენებული ტერიტორიის ფართობი, შეიძლება ითქვას, რომ ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ზრდას ადგილი არ ქონია.

განხორციელებული სამუშაოების სპეციფიკის და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების ზრდას მშენებლობის ფაზაზე ადგილი არ ქონია და მონიტორინგის შედეგების მიხედვით, თავდაპირველ პროექტთან შედარებით არც ექსპლუატაციის ფაზაზე აქვს ადგილი.

საერთო ჯამში, განხორციელებული ცვლილება იყო შეზღუდული მასშტაბის და შეეხო მისასვლელი გზისა და სადაწნეო მილსადენის დერეფნის მხოლოდ ლოკალურ მონაკვეთს, ხოლო ჰესის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები უცვლელი დარჩა. ზემოქმედებები გამოვლინდა მცირე მასშტაბით, მხოლოდ სამუშაოების შესრულების პერიოდში და ლოკალურად.

8. დანართი

8.1. დანართი 1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ



სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

11 დეკემბერი 2025



GOV N 3757/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, გურიის სატყეო სამსახურის, ჩოხატაურის სატყეო უბნის 1130 კვ.მ. მიწის ფართობზე, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი“-ს 44-ე მუხლის პირველი პუნქტის, 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის, 77-ე მუხლის, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 08/12/2025 წ. N 25121 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ, გურიის სატყეო სამსახურის, ჩოხატაურის სატყეო უბნის, ჩოხატაურის სატყეოს N 17 კვარტლის N 30 ლიტერში, N 18 კვარტლის N 10, N 11 ლიტერებში, სახელმწიფო ტყის 1130 კვ.მ. მიწის ფართობზე (ს/კ: N 28.24.29.762, N 28.24.29.763), ჰიდროელექტროსადგურის „საშუალა ჰესი“-ს ფუნქციონირებისთვის მისასვლელი გზის მშენებლობის და შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს (ს/ნ: 404 485 188 შემდგომში - ტყითმოსარგებლე), 49 წლის ვადით, ხე-ტყის ჭრის უფლების გარეშე, მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.



2. ტყითმოსარგებლე ვალდებულია ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე გურიის სატყეო სამსახურთან გააფორმოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

3. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითმოსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4. ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N221 დადგენილების 77-ე მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად, სულ: 6400 (ექვსი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

5. ტყითმოსარგებლე ვალდებულია უზრუნველყოს, წინამდებარე ბრძანების ხელმოწერის დღიდან 90 კალენდარული დღის ვადაში, მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო საფასურის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ბრძანება ძალადაკარგულად ჩაითვლება.

6. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ამავე დოკუმენტით გათვალისწინებულ საქმიანობაზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), ხოლო ასეთის საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N34), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.



კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო



**8.2. დანართი N2:** განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაცია

დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია თან ერთვის სკრინინგის ანგარიშს